წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე
მუნიციპალური საბჭოს სხდომის

ოქმი N2

29 აპრილი 2026 წელი ქ.წალკა

საბჭოს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე,
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მარიამ ლომთათიძე,
საბჭოს მდივანი მანანა გულედანი,
საბჭოს წევრები:

ჯემალი ბერიძე
ნუგზარი ჩამურლიევი
ლევონ მარკოსიან
ანტარამ მელტონიან
მარინე ირემაძე
ევგენია ფურცელაძე
ირმა ჩხეტიანი
ეკა ვიბლიანი
ფოტის ტერსენიდის
გიორგი პეპანიან
ნაზიბროლა კეკელიძე

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე.

სხდომა დასრულდა 12:35 საათზე.

ამირან საყვარელიძე- მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“.

სხდომამ განიხილა:

1. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჯაბა აბულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია დადგენილების პროექტის „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხილვა, რის შემდეგაც, მომხსენებელმა-წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა- ამირან საყვარელიძემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო გასახილველი დადგენილების პროექტი. აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა- ევგენია ფურცელაძემ, ნუგზარი ჩამურლიევმა, ნაზიბროლა კეკელიძემ. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე საბჭოს წევრებს განსახილველ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. საბჭომ ღია კენჭისყრით (14 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: მოწონებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და მიჩნეულ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მოსამზადებლად.

2. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჯაბა აბულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია დადგენილების პროექტის „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ განხილვა, რის შემდეგაც, მან საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო გასახილველი დადგენილების პროექტი.აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა- ანტარამ

მელტონიანმა, ლევონ მარკოსიანმა, მარიამ ლომთათიძემ. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე საბჭოს წევრებს განსახილველ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. საბჭომ ღია კენჭისყრით (14 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: მოწონებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ და მიჩნეულ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მოსამზადებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე — ჯაბა აბულაძე